

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა - ცენტრალური და აღმოსავლეთ
ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES)
პროგრამის აღწერა

<p>ფაკულტეტის დასახელება</p>	<p>მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი პროგრამა ხორციელდება 8 პარტნიორი უნივერსიტეტისაგან შემდგარი კონსორციუმის ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც არიან:</p> <ul style="list-style-type: none"> • გლაზგოს უნივერსიტეტი, შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო • ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო • იაგელონიის უნივერსიტეტი, პოლონეთი • ბუდაპეშტის კორვინუსის უნივერსიტეტი, უნგრეთი • კიმეპის უნივერსიტეტი, ყაზახეთი • სარაევოს უნივერსიტეტი, ბოსნია-ჰერცეგოვინა <p>და ძირითადი ასოცირებული პარტნიორი</p> <ul style="list-style-type: none"> • კიევ-მოჰილას აკადემიის ეროვნული უნივერსიტეტი, უკრაინა <p>სტუდენტები პირველ სემესტრში სწავლობენ ტარტუს უნივერსიტეტში, მეორე სემესტრში - გლაზგოს უნივერსიტეტში, მე-3 და მე-4 სემესტრებში კი კონსორციუმში შემავალი დანარჩენი უნივერსიტეტებიდან ერთ-ერთში, მათი კვლევის ინტერესის სფეროდან გამომდინარე.</p> <p>მოცემულ პროგრამაში აღწერილია ის მიმართულება, რომელსაც სტუდენტები გაივლიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვიტენ ისწავლონ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მე-3 და მე-4 სემესტრებში.</p>
<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES) / Central and East European, Russian and Eurasian Studies (CEERES)</p>
<p>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი</p>	<p>პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტები მიიღებენ ორ ერთობლივ კვალიფიკაციას/ხარისხს, სწავლის იმ კომბინაციიდან გამომდინარე, რომელსაც ისინი აირჩევენ. სწავლის კომბინაციები გულისხმობს სწავლას ტარტუს უნივერსიტეტში, გლაზგოს უნივერსიტეტში და კონსორციუმის რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტში.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტები მე-3 და მე-4 სემესტრში ისწავლიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, მათ მიენიჭებათ შემდეგი კვალიფიკაციები/ხარისხები:</p>

	<ul style="list-style-type: none"> ერთობლივად მინიჭებული ხარისხი: საერთაშორისო მაგისტრი / International Master გლაზგოს უნივერსიტეტისგან, გლაზგო, შოტლანდია, გაერთიანებული სამეფო და ტარტუს უნივერსიტეტისგან, ტარტუ, ესტონეთი; კავკასიის კვლევების მაგისტრი / Master of Caucasus Studies, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, თბილისი, საქართველო
<p>პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)</p>	<p>4 სემესტრი, 120 კრედიტი</p>
<p>პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი</p>	<p>პროგრამა შემუშავებულია 2018 წელს და განახლდა 2021 წელს. გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება.</p>
<p>სწავლების ენა</p>	<p>ინგლისური ენა</p>
<p>პროგრამის ხელმძღვანელი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან)</p>	<p>პროფესორი გია ნოდია</p>
<p>მიღების პირობები</p>	
<p>პროგრამაზე მიღების პროცესს კოორდინირებას უწევს გლაზგოს უნივერსიტეტი, როგორც კოორდინატორი უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტსა და კონსორციუმის დანარჩენ პარტნიორ უნივერსიტეტებთან შეთანხმების საფუძველზე.</p> <p>იმ შემთხვევაში თუ ერთობლივ სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული საქართველოს მოქალაქე აპირებს სწავლების მეორე წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას, მას ჩაბარებული უნდა ჰქონდეს საერთო სამაგისტრო გამოცდა; საერთო სამაგისტრო გამოცდის შესახებ ინფორმაცია იხილეთ www.naec.ge.</p> <p>პროგრამაზე სწავლის მსურველმა აპლიკანტებმა ონლაინ რეჟიმში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:</p> <ul style="list-style-type: none"> ■ ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (ასლები); ■ ნიშნების ფურცლის ასლ(ებ)ი, აპლიკანტის მიერ გავლილი კურსებისა და მიღებული შეფასებების მითითებით; სამაგისტრო საფეხურზე მიღების აუცილებელი წინაპირობაა 2.1 დონის ან ეკვივალენტური აკადემიური მოსწრება (მაგალითად, GPA 3.0 ან მაღალი); ■ დიპლომ(ებ)ისა და ნიშნების ფურცლ(ებ)ის ოფიციალურად დამოწმებული ინგლისური ენის თარგმანი; ■ ორი სარეკომენდაციო წერილი ბლანკზე; ■ პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი (მხოლოდ აპლიკანტებისათვის არაევროპული ქვეყნებიდან); ■ ორგვერდიანი პირადი განცხადება, რომელშიც აპლიკანტებმა უნდა უპასუხონ შემდეგ შეკითხვებს: <ul style="list-style-type: none"> ● რატომ არის ამ პროგრამაზე სწავლა შემდეგი ნაბიჯი თქვენი აკადემიური კარიერისათვის? ● რატომ გსურთ პროგრამაზე სწავლა? ● როგორ დაგეხმარებათ ეს პროგრამა მომავალი კარიერული განვითარებისათვის? 	

- ინგლისური ენის სათანადო დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (სავალდებულოა მხოლოდ იმ აპლიკანტებისათვის, რომელთათვისაც ინგლისური მშობლიური ენა არაა):
 - **IELTS** (აკადემიური ტესტი): ჯამური ქულა მინიმუმ 6.5 ან მეტი, ტესტის თითოეულ კატეგორიაში არანაკლებ 6.0 ქულისა
 - **TOEFLib**: ჯამური ქულა მინიმუმ 90, მათ შორის კითხვაში მინიმუმ 20 ქულა, მოსმენა - მინიმუმ 19, საუბარი - მინიმუმ 19 და წერის კომპონენტში მინიმუმ - 23 ქულა
 - **CAE**: ჯამური ქულა მინიმუმ 176; ტესტის თითოეულ კატეგორიაში არანაკლებ 169 ქულისა
 - **CPE**: ჯამური ქულა მინიმუმ 176; ტესტის თითოეულ კატეგორიაში არანაკლებ 169 ქულისა
 - **PTE Academic**: ჯამური ქულა მინიმუმ 60; ტესტის თითოეულ კატეგორიაში არანაკლებ 59 ქულისა
 - **ლონდონის თრინიტი კოლეჯის ინგლისურის ინტეგრირებული უნარების ტესტი: ISEII** დონის დაძლევა წარმატებით, ტესტის თითოეული კომპონენტის წარმატებით დაძლევა.

პროგრამის მიზნები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევების პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს:

შესაძლებლობა მიიღონ სირღმისეული ცოდნა ისტორიული და თანამედროვე განვითარების ტენდენციების შესახებ საზოგადოებაში, პოლიტიკაში, ეკონომიკასა და კულტურაში. ამ მიზნით, პროგრამა იმგვარადაა სტრუქტურირებული, რომ შესთავაზოს სტუდენტებს მრავალფეროვანი არჩევანი რეგიონის საერთო კომუნისტური წარსულის და ამ წარსულით განპირობებული პოსტკომუნისტური და ცივი ომის შემდგომი ტრანსფორმაციის დინამიკის სირღმისეული შესწავლისთვის.

გლაზგოს უნივერსიტეტის, ტარტუს უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო გეგმის კონკრეტული კომპონენტები და მობილობის სქემები დაეხმარება სტუდენტებს შემდეგი მიზნების მიღწევაში:

- აღმოსავლეთ ევროპისა და ევრაზიის რეგიონის კვლევის ახალი, ინოვაციური მიდგომების შემუშავება კავკასიის რეგიონზე განსაკუთრებული აქცენტით;
- სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან გამომდინარე სათანადო დისციპლინური და ინტერდისციპლინური მიდგომების გაცნობა;
- რეგიონული ენის (რუსულის) შესწავლა, რათა კვლევის ჩატარებისას შეძლონ ამ ენაზე წერილობითი წყაროების გაცნობა;
- სტუდენტთა მიერ განხორციელებული იმ დამოუკიდებელი კვლევების ხელმძღვანელობა, რომლებიც ეხება კავკასიის რეგიონის შესწავლას;
- მობილობის შესაძლებლობის გამოყენება, რათა შეიძინოს, განავითაროს და დახვეწოს ინტერკულტურული ცნობიერება და გაითავისოს მისი მნიშვნელობა.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია/აქვს:

1. კავკასიის რეგიონში აქტუალური საკითხებისა და პრობლემების შესასწავლად ახალი და ინოვაციური მიდგომების შექმნა;

2. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინისა (სოციალური და ჰუმანიტარული) თუ ინტერდისციპლინური მიდგომების დაკავშირება დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების მიზნით;
3. როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროებიდან (მათ შორის ორიგინალურ ენაზე) მიღებული მონაცემების ინტერპრეტაცია, შეფასება, ანალიზი და სინთეზი;
4. მეცნიერულად შესწავლა და გადამოწმება კავკასიის რეგიონის შესახებ არსებული (როგორც თავად რეგიონში, ასევე მის გარეთ დაწერილ/შექმნილ) ყველა წყაროსი;
5. ერთ-ერთ რეგიონულ ენაზე (რუსულად) დაწერილი წყაროების წაკითხვა და გამოყენება კვლევის მიზნებისთვის;
6. ადამიანებთან მიმართებაში განხორციელებული დამოუკიდებელი კვლევის ჩატარებისას წამოჭრილი ეთიკური საკითხების გაგება და ამ საკითხების გადაწყვეტა საუკეთესო აკადემიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით;
7. დამოუკიდებლად სწავლის უნარები, მათ შორის, დროის განაწილება კვლევისა თუ სხვა ამოცანების დაგეგმვისა თუ განხორციელებისთვის გათვალისწინებული ვადების შესაბამისად;
8. თანმიმდევრული, ანალიტიკური და ენობრივად გამართული წერილობითი ტექსტების შედგენა, დამოწმების შესაბამისი სისტემისა და, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცხრილების, დიაგრამებისა და ციფრების გამოყენებით;
9. აუდიტორიასთან ეფექტური ინტერაქცია და ზეპირი პრეზენტაციების დროს მასალის ნათლად და თვალსაჩინოდ წარმოდგენა;
10. სხვადასხვა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და მიზნისთვის შესაბამისი ვარიანტის შერჩევა;
11. სხვადასხვა საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენება (ტექსტზე დაფუძნებული პროგრამები, მონაცემთა ბაზები და ა.შ.); ასევე, ინტერნეტ წყაროების შეფასება და გამოყენება;
12. საერთაშორისო, მრავალეროვნულ ორგანიზაციებში, კულტურული განხვავებულობის პირობებში, სამუშაო გარემოსთან წარმატებულად ადაპტაცია და მორგება.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებს სამ უნივერსიტეტში სწავლის საშუალებას აძლევს. კონკრეტულად, სტუდენტები პირველ სემესტრს ატარებენ ტარტუს უნივერსიტეტში, მეორე სემესტრში ირჩევენ სასურველ მიმართულებას, რომელზეც ისწავლიან მე-3 და მე-4 სემესტრების განმავლობაში. სტუდენტებს, რომლებიც აირჩევენ პროგრამის „ევრაზიული კვლევების“ მიმართულებას, შეეძლება გაატარონ მე-3 და მე-4 სემესტრი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მათი კვლევის ფოკუსი იქნება კავკასიის რეგიონზე. პროგრამა ითვალისწინებს 120 კრედიტის დაგროვებას.

პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი პროგრამის სავალდებულო კურსებით, სტაჟირებითა და სამაგისტრო ნაშრომით, ხოლო 40 კრედიტი - პროგრამის არჩევითი კურსებით. პროგრამის ეს კომპონენტები 4 სემესტრზე შემდეგი სახითაა განაწილებული:

სემესტრი 1: ტარტუს უნივერსიტეტი

სავალდებულო კურსები – 24 ECTS

- შესავალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში – 12 ECTS
- სოციალურ მეცნიერებათა ფილოსოფია – 6 ECTS
- რუსული ენა სოციალური მეცნიერებებისათვის (საწყისი დონე) – 6 ECTS

არჩევითი კურსები – 6 ECTS

სემესტრი 2: გლაზგოს უნივერსიტეტი

სავალდებულო კურსები – 20 ECTS

- რუსული ენა სოციალური მეცნიერებებისათვის (საშუალო დონე) – 10 ECTS
- ცენტრალური აზიის უსაფრთხოების ახლებური გააზრება – 10 ECTS

არჩევითი კურსები – 10 ECTS

სემესტრი 3: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სავალდებულო სასწავლო კომპონენტი – სტაჟირება – 6 ECTS (დეტალური ინფორმაცია სტაჟირების შესახებ მოცემულია „სტაჟირების კონცეფციის“ დოკუმენტში)

არჩევითი კურსები – 24 ECTS

სემესტრი 4: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომი – 30 ECTS / სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს ორი პროფესორი - ტარტუს/გლაზგოს და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. სამაგისტრო ნაშრომის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის მომზადების გაიდლაინების ჩარჩო-დოკუმენტში.

სწავლების მეთოდები

- ლექციები, სემინარები;
- პრაქტიკული მუშაობა;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობა;
- პროექტები (კვლევასა და პრობლემაზე დაფუძნებული პროექტების ჩათვლით);
- პრეზენტაცია;
- დისკუსია, დებატები;
- გამოცდილებითი სწავლების მეთოდები;
- რეფლექსია;
- სუპერვიზია.

გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების აღწერები მოცემულია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასების სისტემა

პარტნიორ უნივერსიტეტებში არსებული შეფასების სისტემის თავსებადობის დადგენის მიზნით გამოიყენება შემდეგი ცხრილი:

E C T S	პროცენტული განაწილება	გლაზგოს უნივერსიტეტი		ტარტუს უნივერსიტეტი		ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	
		ქულა	აღწერა	ქულა	აღწერა	ქულა	
A	98-100% (ძლიერი A)	22 (A1)	სწავლის შედეგები მიღწეულია სანიმუშო დონეზე, სიღრმისეულად, რაც დასტურდება სტუდენტის მიერ შესაბამისი მასალის ცოდნით, ანალიზისა და ლოგიკური დასკვნების გაკეთების უნარით [ემპირიული მონაცემების ანალიზისას სტუდენტი ამჟღავნებს თეორიის მაღალ დონეზე ცოდნას]	A/5	საუკეთესო - სწავლის შედეგების მიღწევის გამორჩეული დონე, რაც მჟღავნდება ცოდნისა და უნარების იშვიათად კარგი, კრეატიული და თავისუფალი გამოყენებით	(A) ფრიადი - 91-100 ქულა;	
A	94-97% (საშუალო A)	21 (A2)		A/5		(A) ფრიადი - 91-100 ქულა;	
A	91-93% (სუსტი A)	20 (A3)		A/5		(A) ფრიადი - 91-100 ქულა	
B	88-90% (ძლიერი B)	19 (A4)		B/4		ძალიან კარგი - სწავლის შედეგების მიღწევის მაღალი დონე, რაც ხასიათდება ცოდნისა და უნარების	(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
B	84-87% (საშუალო B)	18 (A5)		B/4			(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა

B	81-83% (სუსტი B)	17 (B1)	ფაქტიურად ყველა სასწავლო შედეგი უდავოდ მიღწეულია, რაც დასტურდება მიღებული ცოდნის კონსტრუქციული გამოყენებით, სტუდენტი ამჟღავნებს საგნის სიღრმისეულ გაგებას [ამჟღავნებს თეორიის ცოდნას ემპირიულ მონაცემებთან მიმართებაში]	B/4	შესაბამისი და კრეატიული გამოყენებით. შედარებით სპეციფიური საკითხების ცოდნასა და უნარებში შესაძლოა მდგენლობად უმნიშვნელო, არა სერიოზული ხასიათის შეცდომები	(B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
C	78-80% (ძლიერი C)	16 (B2)		C/3	კარგი - სწავლის შედეგები მიღწეულია მაღალ დონეზე და ხასიათდება ცოდნისა და უნარების შესაბამისი გამოყენებით.	(C) კარგი - 71-80 ქულა
C	74-77% (საშუალო C)	15 (B3)		C/3	შედარებით სპეციფიური და დეტალური ელემენტების ცოდნასა და უნარებში შესაძლოა ვლინდებოდეს გარკვეული უზუსტობები.	(C) კარგი - 71-80 ქულა
C	71-73% (სუსტი C)	14 (C1)	სასწავლო შედეგების უმრავლესობა მიღწეულია, ზოგიერთი მათგანი უკეთესადაა ნასწავლი დანარჩენებთან შედარებით, ცოდნის გამოყენება გარკვეულ შემთხვევებში შეზღუდულია, მაგრამ ჩანს საკითხის სიღრმისეული ცოდნა. [თეორიასა და პრაქტიკის დაკავშირება საკმარის დონეზე ხდება]	C/3	შედარებით სპეციფიური და დეტალური ელემენტების ცოდნასა და უნარებში შესაძლოა ვლინდებოდეს გარკვეული უზუსტობები.	(C) კარგი - 71-80 ქულა
D	66-70% (ძლიერი D)	13 (C2)		D/2	დამაკმაყოფილებელი - სასწავლო შედეგების მიღწევის საკმარისი დონე, რაც ხასიათდება ტიპურ სიტუაციებში ცოდნისა და უნარების გამოყენებით; არა-ტიპურ სიტუაციებში სტუდენტი ამჟღავნებს გარკვეულ ჩავარდნებსა და უზუსტობებს	(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
D	61-65% (სუსტი D)	12 (C3)		D/2	დამაკმაყოფილებელი - სასწავლო შედეგების მიღწევის საკმარისი დონე, რაც ხასიათდება ტიპურ სიტუაციებში ცოდნისა და უნარების გამოყენებით; არა-ტიპურ სიტუაციებში სტუდენტი ამჟღავნებს დიდ ჩავარდნებსა და უზუსტობებს	(D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა
E	58-60% (ძლიერი E)	11 (D1)	სასწავლო შედეგები საკმარისადაა მიღწეული, მჟღავნდება შესაბამისი მასალის, ანალიტიკური საკითხებისა და კონცეფტების ცოდნა მინიმალურად საკმარის დონეზე, თუმცა ცოდნა არამყარია [თეორიის სუსტი ცოდნა ემპირიულ მონაცემებთან მიმართებაში]	E/1	სუსტი - სასწავლო შედეგები მიღწეულია მინიმალურ დონეზე, რაც ხასიათდება ცოდნისა და უნარების შეზღუდული გამოყენებით ტიპურ სიტუაციებში; არა-ტიპურ სიტუაციებში სტუდენტი ამჟღავნებს დიდ ჩავარდნებსა და უზუსტობებს	(E) საკმარისი - 51-60 ქულა
E	54-57% (საშუალო E)	10 (D2)		E/1		(E) საკმარისი - 51-60 ქულა
E	51-53% (სუსტი E)	9 (D3)		E/1		(E) საკმარისი - 51-60 ქულა
F	48-50% (ახლოს ჩათვლასთან)	8 (E1)	სპეციფიური სასწავლო შედეგები შეზღუდული სახითაა მიღწეული, ცოდნის სიღრმის გამოვლენა არასრულად ხდება, არგუმენტების გამოყენება სუსტი ან შეზღუდულია. [თეორიის გამოყენება პრაქტიკაში არასაკმარისია]	F/0 ჩავარდნა		(FX) ვერ ჩააბარა- 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
F	44-46% (ახლოს ჩათვლასთან)	7 (E2)		F/0 ჩავარდნა		
F	41-43% (ახლოს ჩათვლასთან)	6 (E3)		F/0 ჩავარდნა	ჩავარდნა - სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და უნარები მოთხოვნილ მინიმალურდონეზედაბალია	
F	38-40% (some effort made but not sufficient)	5 (F1)	გათვალისწინებული სასწავლო შედეგების მიღწევის დონე არსებითად შეზღუდულია, ფაქტიურ ცოდნასა და ანალიტიკური უნარებს აკლია მყარი საფუძველი	F/0 ჩავარდნა		(F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
F	34-37% (some effort made but not sufficient)	4 (F2)		F/0 ჩავარდნა		
F	31-33% (very poor result)	3 (F3)		F/0 ჩავარდნა		

				დნა		
F	21-30% (very poor result)	2 (G1)	თითქმის ყველა სასწავლო შედეგი შეზღუდულ დონეზეა მიღწეული, მასალების გამოყენება ხდება შეუსაბამოდ, განმარტებები არასრული და მცდარია	F/0 ჩავარდნა		
F	11-20% (almost no effort)	1 (G2)	სასწავლო შედეგების მიღწევის დამარწმუნებელი მტკიცებულება არ არსებობს, საკითხების ახსნა ხდება მიმართულების გარეშე, ფრაგმენტული სახით	F/0 ჩავარდნა		
F	0-10% (no effort)	0 (H)	უარი კრედიტის მიცემაზე: კურსით გათვალისწინებული შედეგების მიუღწევლობა ყოველგვარი მიზეზის გარეშე; პროგრამის რეგულაციების სერიოზული დარღვევის შემთხვევაში	F/0 ჩავარდნა		
		CR				

დასაქმების სფეროები

პროგრამის კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს საჯარო და კომერციულ ორგანიზაციებში, რომლებიც მოითხოვენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის და ევრაზიის რეგიონების შესახებ სპეციალიზირებულ ცოდნას. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლის გაგრძელება სადოქტორო საფეხურზე.

სასწავლო რესურსები

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ტარტუს, გლაზგოსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი სასწავლო მასალებით, საინფორმაციო ტექნოლოგიური თუ სხვა სახის რესურსებით:

- ტარტუს უნივერსიტეტის სასწავლო რესურსები მოიცავს უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო სერვისს - <http://utlib.ut.ee/services>, მონაცემთა ბაზებს - <https://utlib.ut.ee/en/databases%20> და საკონფერენციო ცენტრს - <https://utlib.ee/en/conference-centre>
- გლაზგოს უნივერსიტეტის სასწავლო რესურსები მოიცავს სინქრონული და ასინქრონული კომუნიკაციის პლატფორმას, აკადემიური მრჩეველის მომსახურებას, გლაზგოს უნივერსიტეტის მუდლის პლატფორმას, გაერთიანებულ სამეფოში ყველაზე ცნობილ და მდიდარ რუსულ და აღმოსავლეთ ევროპულ საბიბლიოთეკო კოლექციას - <http://www.gla.ac.uk/services/library/>
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო რესურსები მოიცავს სამეცნიერო ჟურნალების ბაზას - <http://library.iliauni.edu.ge/electrionuli-sametsniero-bazebi/>, მუდლის პლატფორმას, არგუსი (პროგრამა კურსებზე რეგისტრაციისათვის, შეფასებებისათვის, კომუნიკაციებისათვის სტუდენტებსა და ლექტორებს შორის და ა.შ.) კომპიუტერულ ლაბორატორიებს და სხვადასხვა საბიბლიოთეკო სერვისებს სტუდენტებისთვის <http://library.iliauni.edu.ge/servisebi/>;
- ასევე, სტუდენტებს შეეძლებათ სტაჟირების გავლა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტნიორ ორგანიზაციებში - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევების ფონდი და მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.

კოდი	კურსის დასახელება	E C TS	საკონტაქტო საათები	წინაპირობა	გაზაფხული	შემოდგომა	ლექტორი	კურსის სტატუსი
1.	შესავალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში	12	26			x	ჰეიკო პააბო	სავალდებულო
2.	სოციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგია	6	32			x	სტეფანო ბრაჯიროლი, ქეზერინ ჰელენ გიბსონი	სავალდებულო
3.	რუსული დამწყებთათვის I	6	64			x	მიჰაილ ორეჰოვი	სავალდებულო
4.	ელექტრონული მართვა	6	28			x	რობერტ კიმერი	არჩევითი
							სტივენ დედოვიჩი	
5.	ბალტიის ზღვის რეგიონის ისტორია	6	16			x	ჰეიკო პააბო	არჩევითი
6.	შედარებითი ეთნოპოლიტიკა	6	32			x	კრისტინა კალასი, კრისტინ კალდური	არჩევითი
7.	კონფლიქტების მართვა	6	32			x	ეიკი ბერგი	არჩევითი
8.	საგარეო პოლიტიკის ანალიზი	6	32			x	ანდრეი მაკარიჩევი	არჩევითი
9.	საერთაშორისო ურთიერთობები	6	32			x	ვიაჩესლავ მოროზოვი	არჩევითი
10.	უსაფრთხოების პოლიტიკა	6	32			x	ტომას მაიკლ ლინსენმაიერი	არჩევითი
11.	ბიოპოლიტიკის საფუძვლები	6	32			x	ანდრეი მაკარიჩევი	არჩევითი
12.	მეხსიერების პოლიტიკა და ისტორია	6	32			x	ჰეიკო პააბო, ანდრეი ნეკოლიაკი	არჩევითი
13.	რუსული ენა სოციალური მეცნიერებისათვის (სამუალო დონე)	10	160	3	x		შამილ ხაიროვი	სავალდებულო
14.	პოსტ-საბჭოთა რუსეთი: ხელახალი შეთანხმება გლობალურ და ადგილობრივ იდენტობებზე	10	22		x		ფედერიკა პრინა	არჩევითი

15.	რუსეთის საგარეო პოლიტიკა	10	22		x		ამმონ ჩესკინი	არჩევითი
16.	ცენტრალური აზიის უსაფრთხოების ახლებური გააზრება	10	22		x		ლუკა ანჩესკი	არჩევითი
17.	სადავო სახელმწიფოები: კავკასია 1991 წლის შემდეგ	10	22		x		ჰუსეინ ალიევი	არჩევითი
18.	პოსტ-საბჭოთა სივრცის დეფაქტო სახელმწიფოები	10	22		x		ადრიან ფლორეა	არჩევითი
19.	მედია და დემოკრატიზაცია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა კავშირში	10	22		x		ჰელენ ჰარდმენი	არჩევითი
20.	რუსეთი, ჩინეთი და ევრაზიის საერთაშორისო პოლიტიკა	10	22		x		მარჩინ კაჩმარსკი	არჩევითი
21.	ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის გეოპოლიტიკა	10	22		x		ემონ ბატლერ მაკინტოში	არჩევითი
22.	რუსული, როგორც უცხო ენა (B.1 დონე)	6	120	13		x	ნატალია პევნაია	არჩევითი
23.	ქართული ენის პრაქტიკული კურსი უცხოელებისათვის (A1.1)	6	60			x	მაია დამენია	არჩევითი
24.	საბჭოთა წარსულის მეხსიერება საქართველოში: მეხსიერებასა და ისტორიას შორის. შესავალი ინტერდისციპლუნური მეხსიერების კვლევებში	6	32	1		x	ოლივერ რაისნერი	არჩევითი
25.	ევროპეიზაციის ფორმები და შედეგები კავკასიაში: ცნების შესავალი და მისი გამოყენება	6	30	1		x	ოლივერ რაისნერი	არჩევითი
26.	სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა: შედარებითი პერსპექტივა	6	30			x	გიორგი გვალაია დავით აფრასიმე	არჩევითი
27.	დემოკრატიზაცია და პოლიტიკური განვითარება სამხრეთ კავკასიაში	6	30	1		x	გიორგი ნოდია	არჩევითი
28.	ენერგოსაკითხები და გარდამავალი ეკონომიკა სამხრეთ კავკასიაში	6	30	1		x	დიმიტრი ჯაფარიძე	არჩევითი
29.	ეთნიკური კონფლიქტები კომპარატივისტულ პერსპექტივაში, კავკასია და ცენტრალური აზია	6	30	1		x	ნინო ფავლენიშვილი	არჩევითი
30.	კავკასიის პოლიტიკური	6	30	1		x	ტიმოთი	არჩევითი

	ისტორია						ბლოველტი	
31.	კვლევითი სემინარი - სტალინი და სტალინიზმი	6	26	1		x	ტიმოთი ბლოველტი	არჩევითი
32.	კავკასიის უსაფრთხოება და გეოპოლიტიკა	6	32	1		x	დავით დარჩიაშვილი	არჩევითი
33.	„სხვების“ მიმართ დამოკიდებულებები საქართველოში	6	30	1		x	ნინო ჯავახიშვილი	არჩევითი
34.	მოქალაქეობა ქვემოდან პოსტსაბჭოთა საზოგადოებებში	6	32	1		x	ფლორიან მულფრიდი	არჩევითი
35.	შესავალი კურსი - კავკასიის მთიანეთის კულტურები	6	32	1		x	ოლივერ რაისნერი	არჩევითი
36.	საბჭოთა საქართველოს ისტორია	6	30			x	ტიმოთი ბლოველტი	არჩევითი
37.	რუსული როგორც უცხო ენა (B.1-2)	6	60			x	ნატალია პევნაია	არჩევითი
38.	რუსული როგორც უცხო ენა (A2-2)	6	60			x	ნატალია პევნაია	არჩევითი
39.	სტაჟირება	6				x	გიორგი ნოდია	სავალდებულო
40.	სამაგისტრო ნაშრომი	30		1, 2		x		სავალდებულო